



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
ბრძანება

01/02/2024



MES 6 24 0000098459

„ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №169 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 30 იანვრის №91882 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №169 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის“:

ა) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 2. საერთაშორისო ექსპერტის შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება მსგავსი საექსპერტო საქმიანობის ანაზღაურებასთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკა, ექსპერტთა ჯგუფში ექსპერტის სტატუსი (თავმჯდომარე/თანათავმჯდომარე), ექსპერტის ფიზიკური ადგილსამყოფელი, მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის საჭირო თანხა, ასევე ექსპერტის მიერ

შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა (შესაფასებელი პროგრამების, სტუდენტების, ადამიანური და მატერიალური რესურსების რაოდენობა, საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის საფეხური და სახე - რეგულირებადი, არარეგულირებადი და სხვა), დაწესებულების სახე, დაწესებულების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ასევე, სამუშაოს დაწყებისა და დასრულების ვადები."

ბ) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 3. საერთაშორისო ექსპერტის შრომის ანაზღაურების ოდენობა ერთი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესის/საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის პროცესისათვის უნდა განისაზღვროს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულისაგან განსხვავებული წესის დადგენასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებით მითითებულ ფარგლებში."

2. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა

